INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.meca.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 05 იანვარი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

www.meca.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
56.00%
64.86%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
21.05%
79.75%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80.00%
31.88%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
50.00%
23.32%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
30.43%
51.57%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
15.38%
47.50%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0.00%
0.00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0.00%
0.00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
14.29%
50.00%
0.00%
50.00%
100.00%

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძება სამინისტროს ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება მინისტრის კომპეტენციის აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან მინისტრს. სამინისტროს მოქმედი დებულების თანახმად, მინისტრს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

  აგრეთვე, არ მოიძიება მინისტრის შემდეგი საკონტაქტო რეკვიზიტი - მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

მინისტრი

დალი ხომერიკი

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი

განათლება

2007-2009

დაამთავრა კოლუმბიის უნივერსიტეტის (ნიუ–იორკი, აშშ) სამაგისტრო კურსი საერთაშორისო განათლების პოლიტიკის სპეციალობით.

1997-2007

გაიარა აშშ-ის საგარეო სამსახურის მრავალი პროფესიული განვითარების კურსი.

1988–1994

დაამთავრა თბილისის ი.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, ინგლისური ენის სპეციალობით (წითელი დიპლომი).

1988

დაამთავრა ქ. სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის პირველი საშუალო სკოლა (ვერცხლის მედალი).

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კონტაქტი“ მოცემულია მინისტრის ელ.ფოსტის მისამართი, სასურველია აღნიშნული ელ.ფოსტის მისამართი განთავსდეს აგრეთვე არსებულ ქვე-განყოფილებაში „მინისტრი“:



კონტაქტი

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროდან ინფორმაციის მიღების რამდენიმე საშუალება არსებობს:

1. სამინისტროს ცხელი ხაზი: (995 32) 2 95 86 59

ცხელი ხაზის საშუალებით თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროში განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ.

2. სამინისტროს სამდივნო. ტელ/ფაქსი: (995 32) 2 95 07 52

სამდივნოს მეშვეობით შეგიძლიათ შეთანხმოთ შეხვედრა მინისტრთან და სამინისტროს სხვა თანამშრომლებთან.

3. ვებ გვერდზე მითითებული "კითხვა/პასუხის" სექცია.

აქ გაეცნობით პასუხებს ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვებზე, როგორიცაა: შრომის სტაჟის აღდგენა, ოკუპირებული ტერიტორიის მოსწავლეთათვის განათლების აღიარება, ასევე ინფორმაციას სხვადასხვა შეღავათებით სარგებლობის წესის შესახებ.

4. ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ ისარგებლოთ სამინისტროს ელ-ფოსტით: info@meca.gov.ge. აქვე შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ თქვენი შეკითხვები, წინადადებები და შენიშვნები.

5. თქვენ ასევე შესაძლებლობა გაქვთ პირადად მისწეროთ მინისტრს შემდეგ მისამართზე: minister@meca.gov.ge

- არ მოიძიება მინისტრის მოადგილეების კომპეტენციის აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან მოადგილეებს. სამინისტროს მოქმედი დებულების თანახმად, მინისტრის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

  აგრეთვე, არ მოიძიება მოადგილეების შემდეგი საკონტაქტო რეკვიზიტი - ელექტრონული ფოსტის მისამართები და ფაქსის ნომრები.

ამასთან, მინისტრის მოადგილეების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“:



სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება, სათაურად „მოადგილეები“ სადაც განთავსდება მათ შესახებ ყველა სახის შესაბამისი ინფორმაცია.

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და სამინისტროს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კონტაქტი“ მოცემულია ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების ნომრების მინიშნებები, რაც მომხმარებლისათვის ნამდვილად წარმოადგენს სასარგებლო ინფორმაციაა:

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

მისამართი: დიმიტრი უზნაძის ქ. 68, თბილისი 0102.

(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
მეორე კორპუსი, მეორე სართული)

<u>მინიშნებები</u>

მეტროსადგური "მარჯანიშვილი." ავტობუსის გაჩერება "კათარზისი"

ავტობუსი № 16, 20, 28, 33, 34, 50, 53, 67, 79, 90, 96, 114.

სამარშრუტო ტაქსი № 6, 31, 40, 50, 61, 62, 68, 88, 89, 108, 118, 126, 127,135, 184.

3. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კონტაქტი“ წარმოდგენილია მხოლოდ სამინისტროს სამდივნოსა და ცხელი ხაზის ნომერი:



კონტაქტი

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროდან ინფორმაციის მიღების რამდენიმე საშუალება არსებობს:

1. სამინისტროს ცხელი ხაზი: (995 32) 2 95 86 59

ცხელი ხაზის საშუალებით თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროში განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ.

2. სამინისტროს სამდივნო. ტელ/ფაქსი: (995 32) 2 95 07 52

სამდივნოს მეშვეობით შეგიძლიათ შეათანხმოთ შეხვედრა მინისტრთან და სამინისტროს სხვა თანამშრომლებთან.

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს სისტემის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა, ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები. ვებ-გვერდზე აგრეთვე, არ მოიძიება სამინისტროს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დასახელება:

ამასთან, სამინისტროსთან სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო ანგარიშვალდებულია როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, აგრეთვე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე; სასურველია, ვებ-გვერდზე წარმოდგენილი იყოს ხსენებულის შესახებაც ინფორმაციული ხასიათის მინიშნება.

შესაძლებელია, ზემოთხსენებული სახის ინფორმაცია განთავსდეს ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „მისია“ ან ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „ისტორია“ („ჩვენს შესახებ“):



მისია

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო

მიზნები

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო თავისი სამოქმედო არეალით განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ სფეროებში აძლიერებს და ხელს უწყობს საქართველოს ხელისუფლებისა და აფხაზეთის მთავრობის ძალისხმევას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის და ახორციელებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მხარდაჭერას ფართომასშტაბიანი სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელების გზით.

თავისი აქტივობებით აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ხელს უწყობს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებას.

6. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ისტორია“ განთავსებულია სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის - შიდა აუდიტის სამსახურის შესახებ ინფორმაცია, სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს სამინისტროს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია:

ისტორია

შიდა აუდიტის სამსახური:

- აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური შეიქმნა საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ" შემდგომში: - კანონი) 32-მუხლის მე-4 პუნქტისა და აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 22 ივლისის #21 დადგენილების საფუძველზე.
- შიდა აუდიტის სამსახურის უფროსად 2010 წლის 12 აგვისტოდან დაინიშნა ირმა გელანტია-ახვლედიანი (ბრძ. #199/კ 16.08.2010)
- შიდა აუდიტის სამსახურის დებულება დამტკიცდა 2010 წლის 9 სექტემბერს (ბრძ. 219/ძ , 09.09.2010); http://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1003264
- შიდა აუდიტის სამსახურმა 2010 წლის 16 სექტემბერს დაამტკიცა სამოქმედო გეგმა (ბრძ. 225/ძ 16.09.2010);

შიდა აუიტის სამსახურს დამტკიცებული აქვს :

2011-2013 წწ. სტრატეგიული გეგმა (ბრძ. #92/ძ 25.05.2011)

2011 წლის წლიური გეგმა (ბრძ. #297/ძ 17.12.2010)

კოორდინაცია:

შიდა აუდიტის სამსახური კოორდინირებულად მოქმედებს საქართველოს მთავრობასთან შექმნილ ,,შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ საბჭოსთან" (http://www.ia.ge/) და ანგარიშვალდებულია დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე.

თანამშრომლობა:

სახელმწიფო ფინანსების კონტროლის სფეროში, შიდა აუდიტის სამსახური თანამშრომლობს საქართველოს **კონტროლის პალატასთან** (http://www.control.ge/) და ამ მიზნით კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ აუდიტის ობიექტებთან კონტროლის პალატის ურთიერთობის კოორდინაციას და კონტროლის პალატის მოთხოვნით, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას.

7. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „მისია“ სასურველია, განთავსდეს სამინისტროს დებულების თანახმად განსაზღვრული სამინისტროს საქმიანობის სფეროს, ძირითადი ამოცანებისა და კომპეტენციის აღწერა:

მისია

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო

მიზნები

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო თავისი სამოქმედო არეალით განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ სფეროებში აძლიერებს და ხელს უწყობს საქართველოს ხელისუფლებისა და აფხაზეთის მთავრობის ძალისხმევას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის და ახორციელებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მხარდაჭერას ფართომასშტაბიანი სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელების გზით.

თავისი აქტივობებით აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ხელს უწყობს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებას.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენციის აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა;

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების სამუშაო ელ.ფოსტები და ფაქსის ნომრები; ხოლო, არასრულად არის წარმოდგენილი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, კერძოდ, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ მოცემულია მხოლოდ შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

  - შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის:



  - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის:

- არ მოიძიება სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

9. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურს - ცენტრების შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია. კერძოდ:

- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების კომპეტენციის, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოიძება ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები;

- არ მოიძება ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:



ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „რესურს ცენტრები“ არსებულ ქვე-განყოფილება „გალი“ იუწყება, რომ შესაბამისი ინფორმაცია მზადდება ვებ-გვერდზე განსათავსებლად:



ხოლო, აღნიშნულ განყოფილებაში არსებული სათაურად „რესურს ცენტრები“ არსებულ ქვე-განყოფილება „აფხაზეთის საჯარო სკოლების“ ცარიელია:



ამასთან, აღნიშნული ქვე-განყოფილების სახელწოდებას „აფხაზეთის საჯარო სკოლების“ სასურველია, დაემატოს აღნიშვნა „რესურს-ცენტრები“.

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

10. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს ტენდერების შესაბამისი (ქვე)-განყოფილება), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სამინისტროს საქმიანობის ამსახველი 2011 წლის წლიური და კვარტალური ანგარიშები, გეგმები (მათ შორის განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული პროფესიული ხელოვნების დარგების (თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, კინო, ქორეოგრაფიული) განვითარების სტრატეგიები, ლიტერატურული და საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობასა და ამ მიზნით შემუშავებული გეგმები)_და პროგნოზები, საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემები *და ა.შ.*

სასურველია, აგრეთვე, მოიძიებოდეს სამინისტროს მიერ წარმოებული მის დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებების რეესტრი, განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ შექმნილი აფხაზეთის ძირძველი მემკვიდრეობის საინფორმაციო ბაზა და მომზადებული ფილმები, კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო ბაზა.

აგრეთვე, სამინისტროს მოქმედი დებულების თანახმად, მინისტრის აპარატის ერთ-ერთი კომპეტენცია არის, განახორციელოს სამინისტროს საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება, მათ შორის სამინისტროს საქმიანობის ამსახველი საგამომცემლო მასალის მომზადება და სამინისტროს ვებ გვერდზე განთავსება, სასურველია აღნიშნული სამართლებრივი ხასიათის დათქმა აისახოს სამინისტროს ვებ-გვერდზე.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „სამინისტრო“ არსებული ქვე-განყოფილებები - „საკონსულტაციო საბჭო“ და „არქივი“ ცარიელია:

ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება სათაურად „კულტურა“ ცარიელია:



ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება სათაურად „ სპორტი“ ცარიელია:

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კონკურსები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტაჟირებები“ განთავსებული ბმულები დაზიანებულია:





ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კონკურსები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „გრანტები“ განთავსებული ბმული დაზიანებულია:





ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კონკურსები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტიპენდიები და პრემიები“ განთავსებული ბმულები დაზიანებულია:





ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში (ბანერში) სათაურად „ჩემი აფხაზეთი“ განთავსებული პირველი და მეორე ბმული არ იხსნება:

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „მეცნიერება“ განთავსებული ბმულები დაზიანებულია:

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება მინისტრის მოადგილეების გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მათი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში;

სიახლეები

2012-01-04

საქართველოს ახალგაზრდულმა ცენტრმა 160–მდე აფხაზეთიდან დევნილ მოზარდს საახალწლო ნაძვის ხის ზეიმზე უმასპინძლა

2012 წლის, 4 იანვარს საქართველოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით აფხაზეთიდან დევნილი მოზარდებისთვის საახალწლო ნაძვის ხის ზეიმი მოეწყო.

ვრცლად

2011-12-30

გამოვიდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ყოველკვარტალური ბიულეტენის „ჩემი აფხაზეთი" სპეციალური საახალწლო ნომერი!

გამოვიდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ბიულეტენის „ჩემი აფხაზეთი" სპეციალური საახალწლო ნომერი. ბიულეტენი მოიცავს სამინისტროს ყოველკვარტალურ საქმიანობას და გთავაზობთ მრავალფეროვან სტატიებს განათლების, კულტურისა და ისტორიის სფეროებიდან და სხვა აქტუალურ თემებზე.

ვრცლად

2011-12-28

აფხაზეთის #16 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულს, ლანა ბაგათელიას ნოდარ როგავას სახელობის სტიპენდია მიენიჭა

გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის რეკომენდაციის საფუძველზე, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარდგინებით ოკუპირებულ გალის რაიონის ტერიტორიაზე (სოფელი მე–2 ოტობაია)მდებარე აფხაზეთის #16 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულს ლანა ბაგათელიას მიენიჭა სოხუმის ინდუსტრიული კოლეჯის ყოფილი დირექტორის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ბატონ ნოდარ როგავას სახელობის სტიპენდია. ნოდარ როგავას სახელობის სტიპენდია, ლანა ბაგათელიას ნოდარის შვილებმა მიანიჭეს, რომლის მიზანია სოციალურად დაუცველი, ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდების წახალისება და მამის სახელის უკდავყოფა. **ვრცლად**

2011-12-28

აფხაზეთის ა/რ მთავრობის და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საახალწლო საჩუქარი აფხაზეთიდან დევნილ ბავშვებს

29, 30 და31 დეკემბერს 10:00 და11:30 საათზე აფხაზეთის ა/რ მთავრობა და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ზალიკოს ცენტრში იწვევს 5 –დან 10 –წლამდე აფხაზეთიდან დევნილ ბავშვებს საახალწლო ზეიმზე.

ვრცლად

12. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამინისტრო" არსებულ ქვე-განყოფილებაში „ანგარიშები" სასურველია, აგრეთვე, განთავსდეს სამინისტროს საქმიანობის ამსახველი 2011 წლის წლიური და კვარტალური ანგარიშები:

ანგარიშები

07/13/11
axali angarishi
qwreqiuwrehuq
qwrehqwrh
wqrehqowrheoqwre

2011-04-11
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2010 წლის ანგარიში
განათლება განათლების სფეროში აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო უზრუნველყოფს საქართველოს განათლების რეფორმისა და ზოგადი განათლების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას აფხაზეთის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოწოდებულია საზოგადოების მონაწილეობით ჩამოაყალიბოს თანამედროვე და ინოვაციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო გარემო. ეს გარემო ეფუძნება არჩევანის თავისუფლებისა და თანამშრომლობის, სამართლიანი კონკურენციისა და თანაბარი შესაძლებლობების, სამოქალაქო ერთიანობისა და კულტურული თვითმყოფადობის პატივისცემის პრინციპებს და ხელს უწყობს ადამიანებს, შეიძინონ და განავითარონ სოციალური წარმატებისთვისა და თვითრეალიზებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები." www.mes.gov.ge/მისია.

2010-04-01
აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2010 წლის პირველ კვარტალში შესრულებული სამუშაოს ანგარიში
საანგარიშო პერიოდში სამინისტროს საქმიანობა ძირითადად განისაზღვრება მისი სტრუქტურული ერთეულების– განათლების, კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა, პროგრამების, ანალიტიკური საქმიანობისა და კვლევების სამმართველოების მიერ ჩატარებული ღონისძიებებით.

2009-12-31
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ 2009 წლის IV კვარტალში შესრულებული სამუშაოსანგარიში

2009-12-29
განათლების სამმართველოს მიერ 2009 წლის IV კვარტალში ჩატარებული სამუშაოების ანგარიში

2009-12-29
კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამმართველოს მიერ 2009 წლის IV კვარტლში ჩატარებული ღონისძიებების ანგარიში

1 2

13. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სტატისტიკა და კვლევები“, სასურველია, განთავსდეს აგრეთვე, 2011 წლის სტატისტიკური მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სამინისტროს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას:

სტატისტიკა და კვლევები

სტატისტიკა და კვლევები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება აფხაზეთის განათლების სისტემაში

სტატისტიკური მაჩვენებლები

სამინისტროს დაქვემდებარებაშია გალის რ–ნის საგანმანათლებლო რესურს–ცენტრი,

ხოლო აფხაზეთის 13 საჯარო სკოლას კურირებს განათლების სამმართველო

***ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურს–ცენტრის საქმიანობა შეზღუდულია 2008 წლის აგვისტოდან.**

გალის რ–ნი

31 საშუალო სკოლა
4,161 მოსწავლე
911 პედაგოგი და ტექპერსონალი
(აქედან **865** დაფინანსებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზნობრივი პროგრამით)

აფხაზეთის საჯარო სკოლები

13 საჯარო სკოლა*
2,198 მოსწავლე
347 პედაგოგი და ტექპერსონალი

ოკუპირებულ ტერიტორიებზე სკოლადამთავრებულთათვის ზოგადი განათლების აღიარება

270 მოსწავლეზე გაიცა საქართველოს განათლების სამინისტროს ატესტატები, სრული ზოგადი განათლების აღიარების საფუძველზე
80 აბიტურიენტი ოკუპირებული გალის რ–ნიდან გადამზადდა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მონაწილეობისათვის აბიტურიენტთა მოსამზადებელ ცენტრში (ზუგდიდი).

14. სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამები მიმოფანტულია შემდეგ (ქვე-) განყოფილებებში:

- განყოფილებაში სათაურად „განათლება“:

განათლება

2011-09-14
განათლების სამმართველოს 2011 წლის მიმდინარე პროგრამები (მე–3 კვარტალი).

აფხაზეთის საჯარო სკოლების პედაგოგების შემოქმედებითი და პროფესიონალური პოტენციალის განვითარების, მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და საგანმანათლებლო რეფორმაში აქტიური ჩართვის მიზნით განათლების სამმართველო ახორციელებს ქვეპროგრამას ,,ინოვაციური პედაგოგი". პროექტში მონაწილეობას ღებულობენ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის პედაგოგები. პედაგოგი, რომელსაც სკოლა წარადგენს ამ წოდებაზე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმს:

2011-03-30
განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 2011 წლის 1-ლი კვარტლისთვის დაწყებულია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:
1. წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა დასრულდა პროექტი ,,წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა" რომლის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი ნიჭიერი ახალგაზრდების ფინანსური მხარდაჭერა მათი სწავლების საფასურის, სხვადასხვა კონკურსებსა თუ ფორუმებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. აფხაზეთიდან დევნილი ოჯახების უმრავლესობა დღესაც ცხოვრობს უკიდურეს გაჭირვებაში კომპაქტურად ჩასახლების ცენტრებში ან ქირით.

2011-02-15
აფხაზეთის სკოლების ლიგა ინტელექტუალურ თამაშში: რა? სად? როდის?
განათლების სამმართველოს, გალის რაიონისა და ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრების მხარდაჭერით, პროგრამებისა და საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის პროგრამების, ანალიტიკური საქმიანობისა და კვლევების სამმართველომ დაიწყო „ინტელექტუალური განვითარების ხელშემწყობი ქვეპროგრამის" განხორციელება.

2011-01-10
განათლების სამმართველოს 2011 წლის მიმდინარე ღონისძიებები
• სასწავლო პროცესისა და ზოგადად განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აფხაზეთის განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის განათლების სამმართველომ დაიწყო პროექტის ,,აფხაზეთის საჯარო სკოლებისა და ოკუპირებული ზონის სკოლების მატერიალურ-ტექნიკური დახმარება" განხორციელება, სკოლებიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სკოლებისათვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, შემენილი იქნება სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ტექნიკური და სასწავლო თვალსაჩინოება. დახმარება გაეწევათ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში.

2010-03-16
test
test test

- განყოფილებაში სათაურად „კონკურსები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კონკურსები და კონფერენციები“:

კონკურსები და კონფერენციები

აფხაზეთიდან დევნილ მოსწავლეთა ლიდერობის პროგრამა

სოხუმის სამხატვრო სასწავლებელი გიწვევთ ხატვის, ფერწერის, ტანსაცმლის, ჭრა–კერვა–მოდელირების შესწავლის მსურველებს

აფხაზეთის მოზარდთა კონფერენცია ,,ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ზურაბ ანჩაბაძის სულისკვეთებით"

ინტელექტუალური კონკურსი - „რა, სად, როდის?"

20.01.2011-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს და ვაკანსიას შემდეგ თანამდებობებზე!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან არსებული გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის კომისია აცხადებს კ ო ნ კ უ რ ს ს გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

1 2

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „პროგრამები“, სადაც განთავსდება ზემოთ ხსენებულ (ქვე-)განყოფილებებში წარმოდგენილი პროგრამების ჩამონათვალი, პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები და აგრეთვე, ცნობები პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ.

15. სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტები განთავსებულია ვებ-გვერდზე არსებული განყოფილებების (ბანერების) სახით:



აფხაზეთობა 2011

9-10 დეკემბერს, „თბილისი არტ ჰოლში" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა გიწვევთ კულტურულ პროგრამაზე „აფხაზეთობა2011". ღონისძიებაში დასწრების მსურველებმა მოსაწვევების მისაღებად გთხოვთ მობრძანდეთ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროში , რომელიც მდებარეობს **ქ.თბილისი უზნაძის N 68,** ან დაგვიკავშირდით სამინისტროს **ცხელ ხაზზე: + 995 32 295 86 59.**
ღონისძიება ჩატარდება: თბილისი, ცოტნე დადიანის #26 „თბილისი არტ ჰოლი"

იხილეთ ღონისძიების ვიდეო-რგოლი

იხილეთ "აფხაზეთობა 2011"-ის პროგრამა



ავიმაღლოთ კვალიფიკაცია

აფხაზეთისა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო
საქართველოსსაზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან (GIPA)თანამშრომლობით
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურული ერთეულებისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ის თანამშრომელთა გადამზადების მიზნით ახორციელებს ტრენინგების უზრუნველყოფას შემდეგი მიმართულებით:

1. **ორგანიზაციული განვითარება:**სტრატეგია, დროისა და რისკების მენეჯმენტი, ანალიზი, შეფასება, მონიტორინგი; (მონაწილეთა სია) (დამმხარე სახელმძღვანელო)(საპრეზენტაციო მასალა-1)(საპრეზენტაციო მასალა-2) (დამხმარე სახელმძღვანელო-2) (საპრეზენტაციო მასალა-3) (საპრეზენტაციო მასალა-4)
2. **პროექტებზე მუშაობა:** დონორებთან ურთიერთობა და ფონდების მოძიება; (მონაწილეთა სია) (საპრეზენტაციო მასალა) (საპროექტო განაცხადის ფორმა 1) (საპროექტო განაცხადის ფორმა 2)(ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი) (პროექტის დიზაინი) (პროექტის მენეჯმენტის საფუძვლები) (სრული საპროექტო განაცხადი) (ფონდების ჩამონთვალი)
3. **ეფექტური კომუნიკაცია:** ორგანიზაციული წერა (მოხსენებები, ანგარიშები) მონიტორინგი და საპრეზენტაციო უნარ-ჩვევები; (მონაწილეთა სია) (დამმხარე სახელმძღვანელო რუსულ ენაზე) (დამმხარე ლიტერატურა რუსული) (დამმხარე ლიტერატურა ქართულად)
4. **ლიდერობა და გუნდური მუშაობა;** (მონაწილეთა სია) (საპრეზენტაციო მასალა)
5. **კონფლიქტების მართვა:**ორგანიზაციული და სტრუქტურული კონფლიქტების მენეჯმენტი; (მონაწილეთა სია) (საპრეზენტაციო მასალა)
6. **ადამიანური რესურსების მართვა;** (მონაწილეთა სია) (საპრეზენტაციო მასალა 1) (საპრეზენტაციო მასალა 2) (საპრეზენტაციო მასალა 3)
7. **საზოგადოებასთან ურთიერთობის უნარები.** (მონაწილეთა სია) (საპრეზენტაციო მასალა)

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)-ს კურსდამთავრებულ და სერთიფიკატზე წარდგენილ
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურული ერთეულებისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ის თანამშრომელთა სია

ტრენინგები გაიმართება მისამართზე: **ქ.თბილისი, ბროსეს ქ. #2** (ტრენინგების ჩატარების განრიგი)
დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს
ცხელ ხაზზე: + 995 32 295 86 59

სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს ცალკეული (ქვე-)განყოფილება სათაურად „პროექტები" სადაც თავმოყრილად განთავსდება როგორც ზემოთ აღნიშნულ განყოფილებებში წარმოდგენილი

პროექტები, აგრეთვე პროექტების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები და ცნობები პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ.

FDMS - საგარეო ვალის მართვის ელექტრონული სისტემა

პროექტის მიზანია შეიქმნას ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებით მოხდება ქვეყნის საგარეო ვალის აღრიცხვა და მართვა. სისტემის მომხმარებელი იქნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი.
პროგრამის ძირითადი ფუნქციონალი მოიცავს:

- არსებული ვალის აღრიცხვას
- გადასახდელი თანხების აღრიცხვას
- პროექტების მართვას
- პროექტის ინიცირებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტის შენახვას
- საჭირო რეპორტების შექმნას ქართულ და ინგლისურ ენებზე.

პროექტის დანერგვის მოსალოდნელი თარიღია 2011 წლის მეორე ნახევარი.

eAuction - სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების ელექტრონული აუქციონის სისტემა

აუქციონზე გამოტანილია საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონება, რომლის ღირებულება არის საბაზრო ფასზე დაბალი.

- მიმდინარეობს სისტემაში სხვა სახელმწიფო სტრუქტურების ჩართვა

ყოველდღიურ რეჟიმში ხდება უკვე დასრულებული პროექტების შედეგად მიღებული ელექტრონული პროდუქტების და სისტემების განახლება-სრულყოფა.

16. მართალია, ვებ-გვერდზე არსებობს განყოფილება სათაურად „პარტნიორები“ თუმცა მასში განთავსებულია მხოლოდ პარტნიორ საქართველოს ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები:

სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს ცალკეული (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სამინისტროს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

17. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კანონმდებლობა“ განთავსებული სამართლებრივი აქტების უმეტესობა მოცემულია ძველი მდგომარეობით, ამასთან აღნიშნულ განყოფილებაში განთავსებულია მხოლოდ საკანონმდებლო აქტები:

კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ

საქართველოს შრომის კოდექსი

საქართველოს კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ

საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

საქართველოს კანონი სახელმწიფო თეატრების შესახებ

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია

საქართველოს კანონი კულტურის შესახებ

საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ

აფხაზეთის კანონი ,,ნორმატიული აქტების შესახებ" აფხაზეთის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

საქართველოს კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ

საქართველოს კანონი სპორტის შესახებ

საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ

სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს სამინისტროს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები; აგრეთვე, სამინისტროს მიერ განათლების, მეცნიერების, კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებში, კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები; აგრეთვე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მიერ დამტკიცებული სამინისტროს საშტატო ნუსხა და სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებები; მინისტრის მიერ სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელების მიზნით გამოცემული სამართლებრივი აქტები (მათ შორის მოადგილეებსა და სხვა თანამდებობის პირებს შორის ფუნქციების განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტი).

სასურველია, აგრეთვე, მოიძიებოდეს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტები, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტების პროექტები, სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დანიშვნის, სხვა თანამდებობაზე გადაყვანის, წახალისების, გათავისუფლების, შვებულების, მივლინებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, აგრეთვე სამინისტროში სტაჟიორად აყვანის შესახებ წინადადებებისა და ბრძანებების პროექტები;

ხოლო მინისტრის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი (რომელიც არ მოიძიება) სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ (ქვე-)გაყოფილებაში.

სასურველია აღნიშნულ (ქვე-)განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- აფხაზეთის კანონი ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ";

- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამინისტროში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

20. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამინისტროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სამინისტროსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

21. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები", სადაც განთავსდება სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სამინისტროს მიერ

განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

22. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს ქვე-განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, თუმცა მასში განთავსებული განცხადებების ბმულები დაზიანებულია:

ამჟამად განათლებისა და კულტურის სამინისტროში ვაკანსია არ არის.
თუმცა მონაცემთა ბაზის გაფართოების მიზნით და სხვა შესაძლო დასაქმების პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად სამინისტრო იღებს დაინტერესებულ პირთა მონაცემებს (სამოტივაციო წერილი და CV). დაგვიკავშირდით მითითებულ ი–მეილზე: info@meca.gov.ge გმადლობთ, რომ ეწვიეთ სამინისტროს ვებ-გვერდს.

02/02/2010

ქ. თბილისის მერია ახორციელებს პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში მცხოვრები მოქალაქეებისათვის კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის უფასოდ შესწავლას.

დევნილი მოსახლეობისათვის, ქ. თბილისის მერიასთან ერთობლივად აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო იწყებს კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის შესწავლის ორგანიზებას.

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო აცხადებს კონკურსს ინგლისური ენისა და კომპიუტერული პროგრამების პედაგოგებისათვის აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

პროგრამის ფარგლებში სწავლის მსურველებმა და პედაგოგის პოზიციაზე დასაქმებით დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, სამოტივაციო წერილი და პირადი მონაცემები გადმოაგზავნოთ სამინისტროს ელ. ფოსტაზე: info@meca.gov.ge ან წარმოადგინოთ სამინისტროს პროგრამების ანალიტიკური საქმიანობისა და კვლევების სამმართველოში 2010 წლის 8 თებერვლამდე.

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად
პროფესიული სწავლების ცენტრი „სპექტრი“ აცხადებს ვაკანტურ ადგილს მებაღე–დეკორატორის სპეციალობით 18–25 წლამდე დევნილებისთვის
სსიპ–ალექსანდრე შერვაშიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ფერწერისა და ტანსაცმლის მოდელირების განყოფილებებზე
აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო საქართველოს ცეკვისა და სპორტული ცეკვის პროფესიონალთა ეროვნული საბჭო

PAGE NOT FOUND

სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამინისტროს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და ა.შ.*

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

23. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამინისტროს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამინისტროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამინისტროს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამინისტროსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
66.67%
2. ძიება
20.00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
52.94%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25.00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
46.67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0.00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
57.89%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
57.14%
9. ელექტრონული ჩართულობა
16.67%
10. ელექტრონული სერვისები
9.09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0.00%
12. უსაფრთხოება
0.00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
33.33%
0
0.1
0.2
0.3
0.4
0.5
0.6
0.7

- **ძიება**

ვებ-გვერდზე შექმნილია ძიების ველი, სადაც შესაძლებელია საძიებო სიტყვის ჩაწერა:



თუმცა ძიების ღილაკზე დაჭერით გადავდივართ Google-ის ძიებაში:



Google-ის ძიება სამწუხაროდ ვერ იქნება ისეთი შედეგიანი, როგორც კონკრეტულად ერთი ვებ-გვერდისთვის დაწერილი ძიების მოდული. რადგან Google-ის სისტემას აქვს თავისი პერიოდი, რის მიხედვითაც სისტემა აინდექსებს ინფორმაცია Google-ის ბაზაში. შესაბამისად ახალი ამბები google-ის სისტემაში გამოჩნდება დაგვიანებით;

მოდული, რომელიც თარიღის მიხედვით ფილტრავს სიახლეებს არ ფუნქციონირებს სრულად. მასზე ყველა რიცხვი არის ბმული, თუმცა ყველა რიცხვის ქვეშ არ არის დადებული სიახლე. შესაბამისად მომხმარებელი ვერ ხვდება რომელ რიცხვში შევიდეს, რომ იხილოს სიახლეები.

მაგალითად ერთ-ერთ რიცხვზე დაწოლით გამოდის ცარიელი გვერდი:



- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის დაშორებები ნაკლებია ვიდრე 2 პიქსელი. მაგ:



მომხმარებლისთვის ცუდად აღსაქმელია ობიექტები და ტექსტები დაშორებების გარეშე, ამიტომ დაშორება მათ შორის აუცილებლად უნდა გაიზარდოს;

ვებ-გვერდზე არსებობს ისეთი კატეგორიები, სადაც ინფორმაცია ატვირთული არ არის. მაგ:

სპორტი

ცარიელი გვერდის მაგივრად სჯობს, დაეწეროს, რომ ინფორმაცია მზადების პროცესშია.

ასევე ვებ-გვერდს გააჩნია არქივი, თუმცა იგი ანალოგიურად ცარიელია:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდი მულტიენოვანია, თუმცა ინგლისურენოვან ვერსიებში გვხვდება ქართული წარწერები და ბანერები:



ვებ-გვერდზე, სიახლეების მოდულში გამოყენებულია ძალიან დიდი სურათები, რის გამოც სიახლეები ნელა იტვირთება:

2012-01-09

აფხაზეთის ახალგაზრდების საახალწლო საჩუქარი ხანდ

საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით 10 იანვარს, ფ
მოსწავლე ახალგაზრდები ეწვევიან თბილისის ხანდაზმულთა
პანსიონატში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ მოხუცებს და ტ
საახალწლო– საქველმოქმედო კონცერტი „ვაჩუქოთ მოხუცებს

2012-01-06

ტრადიციულ საშობაო მსვლელობაში "ალილო" აფხაზე

2012 წლის 7 იანვარს, საშობაო მსვლელობაში „ალილო" ას
აფხაზეთიდან დევნილი მოზარდი მიიღებს მონაწილეობას.

2012-01-04

საქართველოს ახალგაზრდულმა ცენტრმა 160–მდე აფხ
ზეიმზე უმასპინძლა

2012 წლის, 4 იანვარს საქართველოს ახალგაზრდული ცენტრ
საახალწლო ნაძვის ხის ზეიმი მოეწყო.

ვრცლად

2011-12-30

გამოვიდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამ
აფხაზეთი" სპეციალური საახალწლო ნომერი!

გამოვიდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტ
ნომერი. ბიულეტენი მოიცავს სამინისტროს ყოველკვარტალუ

ეს სურათები სინამდვილეში არის ბევრად დიდი:



- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდს აქვს საკმაოდ მარტივად მისაგნები მართვის სისტემა:

საჭიროა მისი უკეთესად დამალვა;

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდი საჭიროებს დამუშავებას და დახვეწას. მასში გამოყენებულია ძველი მეთოდები, სავარაუდოდ დროის სიმცირის ან ბიუჯეტის სიმცირის გამო, რომლებიც მალე მზადდება, მაგრამ სამწუხაროდ უხარისხოა და ნაკლებად შედეგიანი.

სასურველია, ვებ-გვერდში გათვალისწინებული იყოს SEO (Search Engine Optimization) და დიზაინის თანამედროვე ტენდენციები;